ქუთაისის
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ რექტორის

05/06/2019წ. №378 ბრძანებით

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ რექტორი

ლელა ქელბაქიანი: _____

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ მაგისტრატურის პროგრამის პროფესიული პრაქტიკისა და სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა და შესრულების წესი

ქუთაისი, 2019 წელი.

1. **მაგისტრატურის პროგრამის პროფესიულიპრაქტიკის გავლის წესი**

1.1 მაგისტრატურის პროგრამების სასწავლო კომპონენტი - პროფესიული პრაქტიკა ამ და მომდევნო თავის მიზნებისათვის მოიხსენიება, როგორც „პრაქტიკა“.

1.2 პრაქტიკის მიზანია სტუდენტებში პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, სამუშაო გარემოსადმი სტუდენტთა ადაპტაციის ხელშეწყობა.

1.3 პრაქტიკის მსვლელობაში სტუდენტი ასრულებს კონკრეტულ სამუშაოს მოქმედ საწარმოში /ორგანიზაციაში/ დაწესებულებაში (პრაქტიკის ობიექტი) პრაქტიკის ხელმძღვანელისა და მენტორის ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით.

1.4 პრაქტიკის ობიექტი შეიძლება იყოს დაწესებულება, სადაც ხორციელდება საქმიანობა პროგრამის შესაბამის დარგში/სფეროში.

1.5 პრაქტიკის ობიექტში სტუდენტები გადიან პრაქტიკას ხელშეკრულების საფუძველზე პრაქტიკის ობიექტსა და უნივერსიტეტს შორის. მოლაპარაკებებს პრაქტიკის ობიექტებთან პრაქტიკის გავლის საკითხებზე აწარმოებს ფაკულტეტის დეკანი. ხელშეკრულების პროექტს ამზადებს ფაკულტეტის დეკანის ოფისი და ხელს აწერს რექტორი.

1.6 პრაქტიკის იმ ობიექტების ნუსხას, სადაც შესაძლებელია პრაქტიკის გავლა დამდეგ სემესტრში, თითოეულ ობიექტზე პრაქტიკის ხელმძღვანელად გაპიროვნებული თანამშრომლის მითითებით, ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი სემესტრის დაწყებამდე, სულ ცოტა, 2 კვირით ადრე. ნუსხა, არაუგვიანეს დამტკიცების მომდევნო სამუშაო დღისა, ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე უნივერსიტეტის შენობაში და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

1.7 პრაქტიკის ობიექტს ირჩევს სტუდენტი პრაქტიკის გავლის სემესტრის დაწყებამდე, სულ ცოტა, 1 კვირით ადრე.

1.8 პრაქტიკის ობიექტის ასარჩევად სტუდენტი ავსებს განაცხადს, რომელშიც პრიორიტეტულობით ნომრავს პრაქტიკის ყველა შესაძლებელ ობიექტს.

1.9 პრაქტიკის გავლის სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტის დეკანი ანაწილებს სტუდენტებს პრაქტიკის ობიექტებზე შემდეგი წესით:

ა) პირველ რიგში დაკმაყოფილდება იმ სტუდენტთა მოთხოვნები, რომლებსაც განაცხადში პრაქტიკის ობიექტად პირველი პრიორიტეტით მითითებული აქვთ თავიანთი შრომითი საქმიანობის ობიექტები (ასეთების არსებობის შემთხვევაში);

ბ) შემდეგ, რიგ-რიგობით, დაკმაყოფილედება დანარჩენი სტუდენტების განაცხადები რეიტინგულ სიებში მათი რიგითობის შესაბამისად, პრაქტიკის ობიექტების განაცხადებში მითითებული პრიორიტეტულობის გათვალისწინებით;

გ) თუ სტუდენტს არ აქვს წარმოდგენილი პრაქტიკის ობიექტის არჩევის განაცხადი, მისთვის პრაქტიკის ობიექტს არჩევს ფაკულტეტის დეკანის ოფისი ბოლოს, ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდეგ.

1.10 პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტთა განაწილება ფორმდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით. ბრძანება, სემესტრის დაწყებამდე, ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე უნივერსიტეტის შენობაში და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

1.11 პრაქტიკის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური, მასწავლებელთა ან მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალის თანამშრომელი, რომელსაც აკადემიური ხარისხი მიღებული აქვს პროგრამის შესაბამის დარგში ან აქვს ამ დარგში პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება.

1.12 პრაქტიკის მენტორი არის პრაქტიკის ობიექტის თანამშრომელი, გაპიროვნებული პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელის მიერ პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის საქმიანობის წარმართვისა და მეთვალყურეობისათვის.

1.13 პრაქტიკის სტანდარტული ხანგრძლივობაა 3 კვირა. დასაშვებია ამ ვადის გახანგრძლივება პრაქტიკის გავლის სემესტრის ფარგლებში სტუდენტის დასაბუთებული წერილობითი განცხადების საფუძველზე, პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელისა და რექტორის წერილობითი შეთანხმებით.

1.14 პრაქტიკას სტუდენტი გაივლის შესაბამისი პროგრამით სწავლის ბოლო ან ბოლოსწინა სემესტრში, სასწავლო კვირებში, ლექცია-პრაქტიკუმებისაგან თავისუფალ დროს, პრაქტიკის ობიექტის სამუშაო დღეებში.

1.15 პრაქტიკის გავლა მოიცავს:

ა) სტუდენტის საქმიანობას პრაქტიკის ობიექტზე;

ბ) სტუდენტის მიერ პრაქტიკის დღიურის წარმოებას;

გ) სტუდენტის მიერ პრაქტიკის წერითი ანგარიშის მომზადებას.

1.16 პრაქტიკის დღიური არის დოკუმენტი, რომელშიც სტუდენტს ყოველ სამუშაო დღეს შეაქვს ჩანაწერები იმ დღეს მის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ.

1.17 პრაქტიკის დღიურში სტუდენტის მიერ შეტანილი ყოველდღიური ჩანაწერების სისწორეს იმავე დღეს, დღიურში თავისი ხელმოწერით, ადასტურებს პრაქტიკის მენტორი.

1.18 დღიური ივსება „აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული დოკუმენტების შედგენის ინსტრუქციის“ შესაბამისად.

1.19 პრაქტიკის დასრულებისთანავე მენტორი ადგენს სტუდენტის დახასიათებას პრაქტიკის ობიექტზე მისი საქმიანობისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის მიხედვით და გადასცემს პრაქტიკის ხელმძღვანელს, რომელიც დახასიათებას, არაუგვიანეს მისი მიღების მომდევნო სამუშაო დღისა, აბარებს ფაკულტეტის დეკანის ოფისს.

1.20 პრაქტიკის წერითი ანგარიში, რომელსაც ადგენს სტუდენტი პრაქტიკის დასრულების შემდეგ, დამოუკიდებელ საათებში, მოიცავს პრაქტიკის ობიექტის აღწერას, პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზს, დასკვნასა და დანართებს - ნორმატიულ დოკუმენტაციას, რომელიც საფუძვლად უდევს ანგარიშის დანარჩენ ნაწილს.

1.21 პრაქტიკის წერითი ანგარიში ფორმდება „აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული დოკუმენტების შედგენის ინსტრუქციის“ შესაბამისად.

2. მაგისტრატურის პროგრამის პროფესიული პრაქტიკით სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების წესი

2.1 პრაქტიკით სწავლის შედეგის მიღწევის დონის შესაფასებლად გამოიყენება შეფასების ორივე ფორმა - შუალედური და დასკვნითი შეფასება.

2.2 პრაქტიკით სწავლის შედეგის მიღწევის დონის საბოლოო შეფასების ქულა არის შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა ჯამი.

2.3 პრაქტიკით სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური შეფასების ფორმის კომპონენტია სტუდენტის საქმიანობა პრაქტიკის ობიექტზე.

2.4 პრაქტიკით სწავლის შედეგის მიღწევის დონის დასკვნითი შეფასების ფორმის კომპონენტებია პრაქტიკის წერითი ანგარიში და სტუდენტის მოხსენება პრაქტიკის შესახებ.

2.5 პრაქტიკით სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების უდიდესი შესაძლებელი მნიშვნელობაა 100 ქულა, რომელიც ნაწილდება შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმებზე შემდეგი წესით:

ა) შუალედური შეფასების ფორმისათვის - 60 ქულა;

ბ) დასკვნითი შეფასების ფორმისათვის - 40 ქულა.

2.6 მინიმალური კომპეტენციის ზღვარი პრაქტიკით სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური შეფასების ფორმისათვის არის 21 ქულა

2.7 მინიმალური კომპეტენციის ზღვარი პრაქტიკით სწავლის შედეგის მიღწევის დონის დასკვნითი შეფასების ფორმისათვის არის 20 ქულა, მათ შორის:

ა) პრაქტიკის წერითი ანგარიშის კომპონენტისათვის - 10 ქულა;

ბ) პრაქტიკის შესახებ სტუდენტის მოხსენების კომპონენტისათვის - 10 ქულა.

2.8 პრაქტიკით სწავლის შედეგის მიღწევის დონეს შუალედური შეფასებით - პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის საქმიანობას - აფასებს პრაქტიკის ხელმძღვანელი პრაქტიკის გავლის სემესტრის დასკვნითი გამოცდების საგამოცდო კვირების დაწყებამდე.

2.9 პრაქტიკით სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური შეფასების ფორმის კომპონენტის - პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის საქმიანობის შეფასების მეთოდია პრაქტიკის მენტორის მიერ სტუდენტის დახასიათება პრაქტიკის ობიექტზე მისი საქმიანობის მიხედვით და პრაქტიკის დღიური.

2.10 პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები და ამ კრიტერიუმებით შეფასების წესი განისაზღვრება პრაქტიკის სილაბუსით.

2.11 პრაქტიკის წერითი ანგარიში, პრაქტიკის დღიურთან ერთად, სტუდენტმა უნდა ჩააბაროს ფაკულტეტის დეკანის ოფისს არაუგვიანეს 1 კვირით ადრე პრაქტიკის გავლის სემესტრის დასკვნითი გამოცდების კვირების დაწყებამდე. პრაქტიკის წერითი ანგარიში ფაკულტეტის დეკანის ოფისს უნდა ჩაბარდეს როგორც დოკუმენტის, ასევე ელექტრონული ფორმით (CD დისკზე ერთ .pdf ფაილად ჩანაწერის სახით). ამ მასალების არასრულად წარმოდგენის ან დროულად წარმოუდგენლობის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ სტუდენტს არ გაუვლია პრაქტიკა.

2.12 სტუდენტთა მიერ ფაკულტეტის დეკანის ოფისისათვის პრაქტიკის წერითი ანგარიშისა და დღიურის ჩაბარების ვადის ამოწურვის მომდევნო სამუშაო დღეს ფაკულტეტის დეკანის ოფისი ავსებს პრაქტიკის შეფასების უწყისებს. უწყისის შევსებისას შუალედური შეფასების ქულად სტუდენტს, რომელსაც უწყისის შევსების დღეს არ აქვს შეჩერებული სტატუსი და არ აქვს წარმოდგენილი პრაქტიკის წერითი ანგარიში ან/და დღიური, ეწერება 0 ქულა. ჩანაწერი უწყისში შეაქვს ფაკულტეტის დეკანის ოფისის უფლებამოსილ თანამშრომელს.

2.13 უწყისთან ერთად ფაკულტეტის დეკანის ოფისი ამზადებს პრაქტიკის შუალედური შეფასების ბიულეტენს. ბიულეტენი დგება ცალ-ცალკე სტუდენტთა თითოეული ჯგუფისათვის, რომელსაც პრაქტიკის საერთო ხელმძღვანელი ჰყავს. მასში აისახება შუალედური შეფასების ყველა კრიტერიუმი,

რომელიც დადგენილია პრაქტიკის სილაბუსით და ამ კრიტერიუმების მიხედვით უწყისში რიცხული თითოეული სტუდენტის შეფასების ქულები. აღნიშვნები იმ სტუდენტთა შესახებ, რომლებსაც შეჩერებული აქვთ სტუდენტის სტატუსი, ფაკულტეტის დეკანის ოფისს ბიულეტენში შეაქვს მისი პრაქტიკის ხელმძღვანელისათვის გადაცემის დღეს.

2.14 შეფასების ბიულეტენები, პრაქტიკის დღიურებთან და სტუდენტების მენტორებისეულ დახასიათებებთან ერთად, გადაეცემა პრაქტიკის ხელმძღვანელებს.

2.15 პრაქტიკის ხელმძღვანელი საკუთარი დაკვირვების, პრაქტიკის მენტორისეული დახასიათებისა და პრაქტიკის დღიურის ჩანაწერების საფუძველზე, ქულებით, შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, აფასებს სტუდენტის საქმიანობას პრაქტიკის ობიექტზე.

2.16 შეფასების კრიტერიუმების შესაბამისი ქულები და პრაქტიკით სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების შუალედური ქულა პრაქტიკის ხელმძღვანელს შეაქვს პრაქტიკის შუალედური შეფასების ბიულეტენში.

2.17 პრაქტიკით სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური შეფასების ქულა იქნება 0, თუ კრიტერიუმებით შეფასებათა ქულების ჯამი ნაკლებია შუალედური შეფასების ფორმის მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე, რომელიც განსაზღვრულია ამ თავით. სხვა შემთხვევაში პრაქტიკით სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური შეფასების ქულა არის კრიტერიუმებით შეფასებათა ქულების ჯამი.

2.18 პრაქტიკის ხელმძღვანელი პრაქტიკის შუალედური შეფასების ბიულეტენს შევსებისთანავე აბარებს ფაკულტეტის დეკანის ოფისს. ბიულეტენთან ერთად ფაკულტეტის დეკანის ოფისს უბრუნდება პრაქტიკის დღიურები და სტუდენტების დახასიათებები.

2.19 პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ შუალედური შეფასების ბიულეტენის წარმოდგენისთანავე ფაკულტეტის დეკანის ოფისს პრაქტიკით სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური შეფასების ქულა ბიულეტენიდან გადააქვს შეფასების უწყისში.

2.20 პრაქტიკას დასკვნითი შეფასებით (წერითი ანგარიშის შესრულება და პროფესიული პრაქტიკის შესახებ სტუდენტის მოხსენების წარმოდგენა) აფასებს პრაქტიკის შემფასებელი კომისია, რომელიც იქმნება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით. კომისიის წევრებად ინიშნებიან პრაქტიკის ხელმძღვანელები, ბაკალავრიატის პროგრამის ძირითადი სპეციალობის ბლოკისა და მაგისტრატურის პროგრამების სავალდებულო სასწავლო კურსების ლექტორები.

2.21 პრაქტიკის შემფასებელი კომისიის თავმჯდომარესა და წევრებს ფაკულტეტის დეკანი ნიშნავს არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე დასკვნითი გამოცდების საგამოცდო კვირების დაწყებამდე.

2.22 კომისიის წევრების დანიშვნისთანავე ფაკულტეტის დეკანის ოფისი თითოეულ მათგანს ელექტრონული ფოსტით უგზავნის შესაფასებლად პრაქტიკის წერითი ანგარიშების ელექტრონულ ასლებს და გადასცემს პრაქტიკის დასკვნითი შეფასების ბიულეტენებს.

2.23 პრაქტიკის შემფასებელი კომისიის თავმჯდომარეს დასკვნითი შეფასების ბიულეტენთან ერთად გადაეცემა პრაქტიკის შეფასების უწყისი და პრაქტიკის წერითი ანგარიშების დედნები.

2.24 კომისიის თავმჯდომარისთავის გადაცემამდე ფაკულტეტის დეკანის ოფისს პრაქტიკის უწყისში შეაქვს აღნიშნები სტატუსშეჩერებული სტუდენტების შესახებ. იმავდროულად იმ სტუდენტების დასკვნითი და საბოლოო შეფასების ქულებად, რომლებსაც არ აქვთ წარმოდგენილი პრაქტიკის წერითი ანგარიში ამ თავის 2.11 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, იწერება 0.

2.25 კომისიის წევრები დასკვნითი შეფასების კომპონენტს - პრაქტიკის წერით ანგარიშს - აფასებენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, სტუდენტის მონაწილეობის გარეშე. შეფასების შედეგები კომისიის წევრს შეაქვს პრაქტიკის დასკვნითი შეფასების ბიულეტენში.

2.26 პრაქტიკის წერითი ანგარიშის შესრულების შეფასების კრიტერიუმებია:

ა) პრაქტიკის წერითი ანგარიშის ფორმის შესაბამისობა „აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული დოკუმენტების შედგენის ინსტრუქციის“ მოთხოვნებთან;

ბ) პრაქტიკის წერით ანგარიშში პრაქტიკის ობიექტის და მისი მართვის სტრუქტურის აღწერა;

გ) პრაქტიკის წერით ანგარიშში იმ სფეროს აღწერა, რომელშიც ფუნქციობს პრაქტიკის ობიექტი;

დ) პრაქტიკის წერით ანგარიშში სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე განხორციელებული საქმიანობის აღწერა.

2.27 პრაქტიკით სწავლის შედეგის მიღწევის დონის დასკვნითი შეფასების კომპონენტი - სტუდენტის მოხსენება - ფასდება საკონტაქტო საათებში, დასკვნითი გამოცდების ცხრილით განსაზღვრულ დროს, პრაქტიკის შემფასებელი კომისიის სხდომაზე, სტუდენტის მოხსენების მოსმენის შემდეგ. კომისია არ მოისმენს იმ სტუდენტის მოხსენებას, რომლის დასკვნითი შეფასების ქულა, უწყისის მიხედვით, არის 0.

2.28 კომისიის წევრები სტუდენტის მოხსენებას პრაქტიკის შესახებ აფასებენ ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და შეფასების შედეგები შეაქვთ შეფასების თავიანთ ბიულეტენებში.

2.29 პრაქტიკის შესახებ სტუდენტის მოხსენების წარმოდგენის შეფასების კრიტერიუმებია:

ა) პრაქტიკის ობიექტის და მისი მართვის სტრუქტურის აღწერა;

ბ) იმ სფეროს აღწერა, რომელშიც ფუნქციობს პრაქტიკის ობიექტი;

გ) სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობა პროფესიული პრაქტიკის მიზნებთან;

დ) სტუდენტის კომპეტენციების განვითარება პრაქტიკის გავლის შედეგად.

2.30 პრაქტიკის წერითი ანგარიშის შესრულება და მოხსენების წარმოდგენა ამ თავის 2.26 და 2.29 პუნქტებით გათვალისწინებული თითოეული კრიტერიუმის მიხედვით ფასდება 5, 3 ან 0 ქულით შემდეგი წესით:

ა) სტუდენტმა გამოავლინა მოცემული კრიტერიუმით შესაფასებელი დავალების შესასრულებლად აუცილებელი, პრაქტიკის გავლამდე ნასწავლი მასალის სისტემური ცოდნა, გამართულად და სრულად შეასრულა მოცემული კრიტერიუმით შესაფასებელი დავალება, სრულყოფილად წარმოადგინა მოცემული კრიტერიუმით შესაფასებელი დავალების შესრულების შედეგი, გამოავლინა საკვანძო საკითხების გამოყოფისა და მიღებული ცოდნის სწორად და სრულად გამოყენების უნარები მიცემული დავალების შესრულებისას - 5 ქულა;

ბ) სტუდენტმა გამოავლინა მოცემული კრიტერიუმით შესაფასებელი დავალების შესასრულებლად აუცილებელი, პრაქტიკის გავლამდე ნასწავლი მასალის ნაწილობრივი ცოდნა, წარმოადგინა მოცემული კრიტერიუმით შესაფასებელი დავალების ხარვეზებითა და არასრულად შესრულების შედეგი, თუმცა პრაქტიკის წერითი ანგარიში ან მოხსენება შეიცავს სწორ მოსაზრებას/თეზისს/მიმართულებას, ვერ

გამოავლინა საკვანძო საკითხების სწორად გამოყოფის უნარი, მაგრამ გამოვლენილი ცოდნის მოცულობა მომავალში ამ ხარვეზის გამოსასწორებლად საკმარისია - 3 ქულა;

გ) სტუდენტმა, მიუხედავად ძალისხმევისა, ვერ გამოავლინა მოცემული კრიტერიუმით შესაფასებელი დავალების შესასრულებლად აუცილებელი, პრაქტიკის გავლამდე ნასწავლი მასალის ცოდნა, მოცემული კრიტერიუმით შესაფასებელი დავალება, პრაქტიკის წერითი ანგარიშის მიხედვით, არასწორადაა შესრულებული ან მოხსენება გაუმართავია, სტუდენტი ვერ გამოყოფს საკვანძო საკითხებს და ვერ ავლენს მოცემული კრიტერიუმით შესაფასებელი დავალების შესასრულებლად საჭირო ცოდნას - 0 ქულა.

2.31 კომისიის წევრს დასკვნითი შეფასების ბიულეტენში შეაქვს შეფასების ქულები თითოეული კრიტერიუმის მიხედვით, შეკრებს მათ და გამოიყვანს სტუდენტის შეფასების ქულას ცალ-ცალკე - პრაქტიკის წერითი ნაშრომის და პრაქტიკის შესახებ სტუდენტის მოხსენების კომპონენტებისათვის.

2.32 სრულად შევსებულ ბიულეტენებს კომისიის ყველა წევრი, ყველა სტუდენტის მოხსენების მოსმენისა და შეფასების შემდეგ, გადასცემს კომისიის თავმჯდომარეს.

2.33 კომისიის თავმჯდომარე ყოველი სტუდენტისათვის გამოთვლის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების ქულას ცალ-ცალკე - პრაქტიკის წერითი ანგარიშის და პრაქტიკის შესახებ მოხსენების კომპონენტებისათვის. ამ მიზნით იგი აჯამებს შესაბამის ქულებს ბიულეტენებიდან, ჯამს გაყოფს ბიულეტენების რაოდენობაზე და მიღებულ შედეგს, არითმეტიკული წესით, ამრგვალებს უახლოეს მთელ რიცხვამდე.

2.34 თუ ამ თავის 2.33 პუნქტით დადგენილი წესით გამოთვლილი ქულა ნაკლებია მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე, რომელიც დადგენილია ამ თავით სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების მოცემული კომპონენტისათვის, შეფასების ქულა ამ კომპონენტით იქნება 0.

2.35 დასკვნითი შეფასების ფორმის თითოეული კომპონენტით სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების ქულების გამოთვლის შემდეგ კომისისიის თავმჯდომარე გამოთვლის დასკვნითი შეფასების ქულას, რისთვისაც აჯამებს დასკვნითი შეფასების კომპონენტებით შეფასების ქულებს. თუ ჯამი ნაკლები იქნება მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე, რომელიც ამ თავით დადგენილია დასკვნითი შეფასების ფორმისათვის, დასკვნითი შეფასების ქულა იქნება 0.

2.36 დასკვნითი შეფასების ქულის გამოთვლის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე გამოიყვანს პრაქტიკის საბოლოო შეფასების ქულას. თუ დასკვნითი შეფასების ქულაა 0, საბოლოო შეფასების ქულაც იქნება 0. სხვა შემთხვევაში საბოლოო შეფასების ქულა არის შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა ჯამი.

2.37 პრაქტიკით სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების ქულები დასკვნითი შეფასების კომპონენტებით, დასკვნითი და საბოლოო შეფასების ქულები კომისიის თავმჯდომარეს შეაქვს პრაქტიკის შეფასების უწყისში. უწყისს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. უწყისი, ხელმოწერისთანავე, დაკვნითი შეფასების ბიულეტენებთან და სტუდენტთა პრაქტიკის წერითი ანგარიშების დედნებთან ერთად, ბარდება ფაკულტეტის დეკანის ოფისს. დასკვნითი შეფასების ბიულეტენები უწყისის შემადგენელი ნაწილებია.

2.38 თუ სტუდენტი ვერ გამოცხადდება პრაქტიკის დასკვნით შეფასებაზე დასკვნითი გამოცდების ცხრილით განსაზღვრულ დროს და ამას ექნება საპატიო მიზეზი, ფაკულტეტის დეკანი უფლებამოსილია, სტუდენტის განცხადების საფუძველზე, დაუნიშნოს მას დასკვნითი შეფასების სხვა

დრო დასკვნითი გამოცდების კვირებში, ხოლო თუ ეს შეუძლებელია - დამატებითი გამოცდების კვირებში.

2.39 ფაკულტეტის დეკანის ოფისი შეფასების უწყისის მიღების მომდევნო სამუშაო დღეს, პრაქტიკით სწავლის შედეგის მიღწევის დონის საბოლოო შეფასების ქულის მიხედვით, უნივერსიტეტის დებულების შესაბამისად, განსაზღვრავს სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების ნიშანს, რომელსაც შეიტანს პრაქტიკის შეფასების უწყისში.

2.40 თუ პრაქტიკით სწავლის შედეგის მიღწევის დონე დასკვნითი შეფასების ნიშნით FX (ვერ ჩააბარა), მას უფლება აქვს, იმავე სემესტრში გამოიყენოს პრაქტიკის დამატებით შეფასების შესაძლებლობა.

2.41 დამატებითი შეფასება ტარდება დამატებითი გამოცდების საგამოცდო კვირებში, დამატებითი გამოცდების ცხრილით განსაზღვრულ დროს.

2.42 შუალედი პრაქტიკის დასკვნით და დამატებით შეფასებებს შორის უნდა იყოს 5 ან მეტი დღე.

2.43 დამატებითი შეფასებისას პრაქტიკით სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება იგივე წესით, როგორითაც დასკვნითი შეფასებისას.

2.44 თუ სტუდენტი ვერ გამოცხადდება დამატებით შეფასებაზე დამატებითი გამოცდების ცხრილით განსაზღვრულ დროს და ამას ექნება საპატიო მიზეზი, ფაკულტეტის დეკანი უფლებამოსილია, სტუდენტის განცხადების საფუძველზე, დაუნიშნოს მას დამატებითი შეფასების სხვა დრო მხოლოდ იმავე სემესტრის დამატებითი გამოცდების კვირებში.

2.45 თუ პრაქტიკით სწავლის შედეგის მიღწევის დონე შეფასდა (უნდა შეფასებულიყო) დამატებითი შეფასებით, სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების საბოლოო ქულა გამოითვლება და შეფასების ნიშანი, ნაცვლად დასკვნითი შეფასებისა, განისაზღვრება დამატებითი შეფასების ქულის გათვალისწინებით, ამ თავის 2.31-2.37 პუნქტებით დადგენილი წესით.

2.46 თუ პრაქტიკით სწავლის შედეგის მიღწევის დონე დასკვნითი ან დამატებითი შეფასების შემდეგ სტუდენტს შეუფასდა ნიშნით F (ჩაიჭრა) ან სწავლის შედეგის მიღწევის დონე დამატებითი შეფასების შემდეგ შუფასდა ნიშნით FX (ვერ ჩააბარა), მან თავიდან უნდა გაიაროს პრაქტიკა პროგრამით სწავლების რომელიმე მომდევნო სემესტრში.

2.47 თუ სტუდენტი არ გამოცხადდება პრაქტიკის დასკვნით ან დამატებით შეფასებაზე საპატიო მიზეზის გარეშე ან სოციალურ საკითხთა კომისია დაასკვნის, რომ გამოუცხადებლობის მიზეზი არ იყო საპატიო, პრაქტიკით სწავლის შედეგის მიღწევის დონის დასკვნითი/დამატებითი შეფასების ქულა იქნება 0. ამ შემთხვევაში შეფასების ქულა შეფასების უწყისში შეაქვს ფაკულტეტის დეკანის ოფისის უფლებამოსილ თანამშრომელს.

2.48 პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებული კრედიტები სტუდენტს ენიჭება პრაქტიკის შეფასების უწყისში შესაბამისი ჩანაწერის შეტანის გზით. ჩანაწერები პრაქტიკის შეფასების უწყისში შეაქვს ფაკულტეტის დეკანის ოფისის უფლებამოსილ თანამშრომელს.

2.49 პრაქტიკის შეფასების შევსებულ უწყისებს ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი დამატებითი გამოცდების კვირების დასრულების მომდევნო სამუშაო დღეს. დამტკიცების შემდეგ უწყისში ცვლილებების ან ახალი ჩანაწერების შეტანა აკრძალულია.

3. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი

3.1 მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი არის წერითი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომელსაც ასრულებს მაგისტრანტი აკადემიური უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის ბოლო ეტაპზე.

3.2 სამაგისტრო ნაშრომის მიზანია მაგისტრანტის ცოდნის დონისა და მეცნიერული კვლევის უნარების გამოვლენა.

3.3 სამაგისტრო ნაშრომს მაგისტრანტი ასრულებს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დახმარებით.

3.4 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი ან მოწვეული პროფესორი, რომელსაც აკადემიური ხარისხი მიღებული აქვს პროგრამის შესაბამის დარგში ან აქვს ამ დარგში პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება.

3.5 სამაგისტრო ნაშრომების თემებისა და ამ თემებზე შესასრულებელი ნაშრომების ხელმძღვანელების ნუსხას ყოველწლიურად, აკადემიური წლის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი განაცხადების საფუძველზე. ნუსხა, არაუგვიანეს დამტკიცების მომდევნო სამუშაო დღისა, ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე უნივერსიტეტის შენობაში და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

3.6 სამაგისტრო ნაშრომის თემასა და ხელმძღვანელს ირჩევს მაგისტრანტი ნაშრომის შესრულების სემესტრის დაწყებამდე, სულ ცოტა, 4 კვირით ადრე.

3.7 სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის ასარჩევად მაგისტრანტი ავსებს განაცხადს, რომელშიც პრიორიტეტულობით ნომრავს სამაგისტრო ნაშრომების თემებს.

3.8 მაგისტრანტებზე სამაგისტრო ნაშრომების თემებისა და ხელმძღვანელების განაწილების მიზნით ფაკულტეტის დეკანის ოფისი, აგროვებს სამაგისტრო ნაშრომის ტემატიკის არჩევის განაცხადებს, რის საფუძველზეც დგება საბოლოო სიები. სიებს ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი.

3.9 სამაგისტრო ნაშრომის შესრულების სემესტრის დაწყებამდე, სულ ცოტა 2 კვირით ადრე, ფაკულტეტის დეკანი ანაწილებს სამაგისტრო ნაშრომების თემებსა და ხელმძღვანელებს შემდეგი წესით:

ა) რიგ-რიგობით დაკმაყოფილდება მაგისტრანტების განაცხადები, სამაგისტრო ნაშრომების თემების არჩევის განაცხადებში მითითებული პრიორიტეტულობის გათვალისწინებით;

ბ) თუ მაგისტრანტს არ აქვს წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევის განაცხადი, მისთვის ნაშრომის თემასა და ხელმძღვანელს არჩევს ფაკულტეტის დეკანის ოფისი ბოლოს, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდეგ.

გ) სამაგისტრო ნაშრომების თემებისა და ხელმძღვანელების განაწილება ფორმდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით. ბრძანება, სემესტრის დაწყებამდე, ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე უნივერსიტეტის შენობაში და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

3.10 სამაგისტრო ნაშრომს სტუდენტი ამზადებს მაგისტრატურის პროგრამით სწავლების ბოლო სემესტრში, დამოუკიდებელ საათებში, ლექცია-პრაქტიკუმებისა და პროფესიული პრაქტიკისაგან თავისუფალ დროს.

3.11 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი საკონტაქტო საათებში, პერიოდული კონსულტაციების დროს, დახმარებას უწევს მაგისტრანტს ნაშრომის მომზადების გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად ამოწმებს ნაშრომის მზადებას, სტუდენტს აძლევს შენიშვნებს და, კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში, ეხმარება მის კორექციაში.

4. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება

4.1 ნაშრომის მოცულობა. ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 50 და არაუმეტეს 60 გვერდისა, რაოდენობაში იგულისხმება ყველა აკინძული გვერდი.

4.2 ენა. ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შემცდომების გარეშე. უცხოენოვანი პროგრამების განხორციელების შემთხვევაში დასაშვებია ნაშრომის სხვა ენაზე დაცვა რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო.

4.3 სტრუქტურაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი კომპონენტები:

✓ თავფურცელი - სამაგისტრო ნაშრომის პირველი გვერდი;

✓ ანოტაცია - არაუმეტეს ერთ გვერდზე, უნდა ასახავდეს სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურას, მიზნებსა და მოკლე დასკვნას;

✓ შესავალი – ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა აისახოს არჩეული თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები და დასმული ამოცანა (ამოცანები); საკვლევი საგანი და გამოყენებული მეთოდები;

✓ ტექსტის ძირითადი ნაწილი – შეიძლება დაიყოს თავებად და პარაგრაფებად, ყველა თავისა და პარაგრაფის დასახელება უნდა იქნას ჩართული სარჩევში. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო პარაგრაფი შეიძლება გაგრძელდეს იმავე გვერდიდან;

✓ სქოლიო: სქოლიო უნდა განთავსდეს გვერდის ბოლოს. შრიფტის ზომა: 10 პუნქტი. სქოლიოს განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველ გვერდზე თავიდან ან გაგრძელდეს თანმიმდევრული ნომერაციით

✓ დასკვნა - უნდა ასახავდეს სამაგისტრო ნაშრომის შედეგებს;

✓ გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა - წარმოდგენილ უნდა იქნეს ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ – უცხოურ ენებზე.

4.4 ქაღალდი. ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297□210 მმ) ქაღალდზე. ორიენტაცია – ვერტიკალური. ბეჭდვა წარმოებს მხოლოდ ერთ გვერდზე, ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული სიზუსტთ;

4.5 მინდორი და შრიფტები. ნაშრომის ტექსტი დაცილებული უნდა იყოს გვერდის ყველა ნაპირიდან 2,54 სმ-ით (ინჩი). შრიფტის ზომა - 12 (გრძელი ცხრილებისათვის 10). გამოყენებული შრიფტი: ქართული - Sylfaen, ინგლისური და სხვა ენები - Times New Roman. პწკარებს შორის მანძილი 1,5 (გრძელი ცხრილებისათვის 1,0).

4.6 გვერდების დანომვრა. ნაშრომი ინომრება შესავალი გვერდიდან თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით იმავე (ტექსტის) შრიფტითა და ზომით გვერდის ქვედა მარჯვენა კუთხეში. დაუშვებელია სივრცის გამოტოვება. ყოველი ახალი თავი იწყება ახალი გვერდიდან. თავფურცელი არ ინომრება;

4.7 სქოლიო. სქოლიო შეიძლება განთავსდეს გვერდის ბოლოს. შრიფტის ზომა – 10.

4.8 თავფურცლის გაფორმება. თავფურცლის არეები იგივეა, რაც ძირითადი ტექსტის შემთხვევაში. თავფურცლის ზედა მესამედის ზედა (შუა) ნაწილში იწერება უნივერსიტეტის დასახელება. 2,5-3 ინტერვალის დაშორებით ავტორის სახელი და გვარი. 5 ინტერვალის დაშორებით თემის სათაური.

სათაურის ქვემოთ 1,5 ინტერვალის დაშორებით (შუაში) ტექსტი „ნაშრომი წარმოდგენილია (დარგი) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“. 1,5 ინტერვალის დაშორებით დარგი/სპეციალობა/მიმართულება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად. შემდეგ - ოთხი-ხუთი ინტერვალის დაშორებით, მარჯვენა მხარეს იწერება ხელმძღვანელის გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა. თავფურცლის ბოლოს, მის შუა ნაწილში იწერება ნაშრომის შესრულების ადგილი და მის ქვემოთ - თარიღი (წელი).

4.9 ლიტერატურის ციტირება და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის შედგენა, აგრეთვე ილუსტრაციები, ცხრილები და ნახატების გადმოცემა უნდა განხორციელდეს აფა-ს სტილით.

4.10 ნაშრომი უნდა აიკინძოს შემდეგი თანმიმდევრობით:

- ✓ თავფურცელი
- ✓ ანოტაცია
- ✓ სარჩევი
- ✓ შესავალი
- ✓ თავები
- ✓ დასკვნა
- ✓ გამოყენებული ლიტერატურა
- ✓ დანართები

5. სამაგისტრო ნაშრომით სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების წესი

5.1 სამაგისტრო ნაშრომით სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით.

5.2 სამაგისტრო ნაშრომით სწავლის შედეგის მიღწევის დონის დასკვნითი შეფასების ფორმის კომპონენტებია სამაგისტრო წერითი ნაშრომი და მაგისტრანტის მოხსენება სამაგისტრო ნაშრომის შესახებ.

5.3 სამაგისტრო წერითი ნაშრომით სწავლის შედეგის მიღწევის დონის დასკვნითი შეფასება არის დასკვნითი შეფასების ფორმის კომპონენტებით შეფასებათა ჯამი.

5.4 სამაგისტრო ნაშრომით სწავლის შედეგის მიღწევის დონის უდიდესი შესაძლებელი შეფასებაა 100 ქულა, რომელიც ნაწილდება დასკვნითი შეფასების კომპონენტებზე შემდეგი წესით:

ა) სამაგისტრო წერითი ნაშრომის შესრულების კომპონენტისათვის - 60 ქულა;

ბ) სამაგისტრო ნაშრომის შესახებ მაგისტრანტის მოხსენებისათვის - 40 ქულა.

5.5 მინიმალური კომპეტენციის ზღვარი დასკვნითი შეფასების ფორმის სამაგისტრო წერითი ნაშრომის შესრულების კომპონენტისათვის არის 21 ქულა, სამაგისტრო ნაშრომის შესახებ მაგისტრანტის მოხსენების კომპონენტისათვის - 20 ქულა.

5.6 სამაგისტრო ნაშრომით სწავლის შედეგის მიღწევის დონეს აფასებს სამაგისტრო ნაშრომების შემფასებელი კომისია, რომელიც იქმნება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით. კომისიის წევრებად ინიშნებიან სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები, მაგისტრატურის პროგრამების სავალდებულო სასწავლო კურსების ლექტორები, უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების შესაბამისი დარგის პროფესორები, ასოცირებული პროფესორები და ასისტენტ-პროფესორები, უნივერსიტეტისა და სხვა დაწესებულებების მეცნიერი თანამშრომლები და დარგის გამოცდილი პრაქტიკოსი სპეციალისტები მაგისტრის, დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით.

5.7 სამაგისტრო ნაშრომების შემფასებელი კომისიის (კომისიების) თავმჯდომარესა (თავმჯდომარეებს) და წევრებს ფაკულტეტის დეკანი ნიშნავს არაუგვიანეს დასკვნითი გამოცდების საგამოცდო კვირების წინა კვირის დაწყებამდე.

5.8 სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტები შეიძლება იყვნენ უნივერსიტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალის თანამშრომლები ან დოქტორნატები, რომლებსაც აკადემიური ხარისხი მიღებული აქვთ ან ამზადებენ დისერტაციას სამაგისტრო ნაშრომის თემის შესაბამის დარგში, აგრეთვე - მაგისტრის, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ან მათთან გათანაბრებული სხვა პირები, რომლებიც საქმიანობენ აღნიშნულ დარგში, სულ ცოტა, ბოლო 5 წლის განმავლობაში.

5.9 თუ სამაგისტრო ნაშრომების რეცენზენტად შერჩეული პირი არაა უნივერსიტეტის თანამშრომელი, დირექტორი, რექტორის შუამდგომლობის საფუძველზე, ნიშნავს მას რეცენზენტის თანამდებობაზე ვადით მიმდინარე სემესტრის დასრულებამდე.

5.10 სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის მოვალეობაა რეცენზიის მომზადება მიმდინარე სემესტრში შესრულებულ ერთი ან რამოდენიმე სამაგისტრო ნაშრომზე ამ თავით დადგენილი წესით.

5.11 სამაგისტრო ნაშრომებს რეცენზენტებს, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, ბრძანებით ანაწილებს ფაკულტეტის დეკანი სემესტრის დასკვნითი გამოცდების პირველ საგამოცდო კვირაში.

5.12 დასრულებული სამაგისტრო ნაშრომი მაგისტრანტმა უნდა ჩააბაროს ფაკულტეტის დეკანის ოფისს არაუგვიანეს 3 კვირით ადრე სამაგისტრო ნაშრომის შესრულების სემესტრის დასკვნითი გამოცდების კვირების დაწყებამდე. სამაგისტრო ნაშრომი ფაკულტეტის დეკანის ოფისს უნდა ჩაბარდეს როგორც წერითი დოკუმენტის, ასევე ელექტრონული ფორმით (CD დისკზე ერთ.pdf ფაილად ჩანაწერის სახით). ამ მასალების არასრულად წარმოდგენის ან დროულად წარმოუდგენლობის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ მაგისტრანტმა არ შეასრულა სამაგისტრო ნაშრომი.

5.13 ფაკულტეტის დეკანის ოფისი დასრულებული სამაგისტრო ნაშრომის დედანსა და ელექტრონულ ასლს დაუყოვნებლივ გადასცემს ნაშრომის ხელმძღვანელს, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის მიღებიდან 10 დღეში ფაკულტეტის დეკანის ოფისს წარუდგენს დასკვნას სამაგისტრო წერითი ნაშრომის შესახებ.

5.14 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, დასკვნასთან ერთად, ფაკულტეტის დეკანის ოფისს უბრუნებს სამაგისტრო ნაშრომის დედანსა და მის ელექტრონულ ასლს. რის შემდეგაც ნაშრომი გადაეცემა სტრატეგიული განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახურს პლაგიატის არსებობაზე შესამოწმებლად.

5.15 ფაკულტეტის დეკანის ოფისისათვის სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა დასკვნების წარდგენის ვადის ამოწურვის მომდევნო სამუშაო დღეს ფაკულტეტის დეკანის ოფისი სამაგისტრო წერითი ნაშრომებისა და ხელმძღვანელთა დასკვნების ელექტრონულ ასლებს რომელსაც თან ახლავს

ანტიპლაგიატის პროგრამაზე შემოწმების დადებითი დასკვნების ასლი. ელექტრონული ფოსტით უგზავნის სამაგისტრო ნაშრომების რეცენზენტებს.

5.16 რეცენზენტები, არაუგვიანეს მიმდინარე სემესტრის დასკვნითი გამოცდების მეორე საგამოცდო კვირის დაწყებამდე, ფაკულტეტის დეკანის ოფისს აბარებენ სამაგისტრო ნაშრომების რეცენზიებს. რეცენზია, არანაკლებ ორი გვერდისა, უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ნაშრომის დასათაურებას;

ბ) ავტორის ვინაობას;

გ) ნაშრომის მოკლე მიმოხილვას;

დ) ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნას შენიშვნებისა და რეკომენდაციების მინიშნებით;

ე) ნაშრომის შეფასებას (ნიშნით);

ვ) პირად დასკვნას სამაგისტრო ხარისხის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ.

5.17 რეცენზია წარმოდგენილ უნდა იქნეს ნაბეჭდი სახით, არანაკლებ ორ გვერდზე, A4 ფორმატით, სრული აბზაცებით - თითო სტრიქონის დაშორებით, Sylfaen შრიფტით, სათაურებისა და ქვესათაურების ზომა - 14, ძირითადი ტექსტისა – 12, სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5, გვერდის ველები (ყველა მხრიდან) 2სმ.

5.18 ფაკულტეტის დეკანის ოფისისათვის სამაგისტრო ნაშრომების რეცენზიების წარდგენის ვადის ამოწურვის მომდევნო სამუშაო დღეს ფაკულტეტის დეკანის ოფისი ავსებს სამაგისტრო ნაშრომების შეფასების უწყისებს. უწყისები ივსება უნივერსიტეტის დებულებით დადგენილი წესით. ფაკულტეტი დეკანი ოფისს უწყისში შეაქვს მხოლოდ იმ მაგისტრანტების მონაცემები, რომლებიც უწყისის შევსების დღისათვის აკმაყოფილებენ ყველა შემდეგ პირობას:

ა) ფაკულტეტის დეკანის ოფისისათვის ჩაბარებული აქვთ დასრულებული სამაგისტრო ნაშრომი, და აქვთ ხელმძღვანელის დადებითი დასკვნა და ანტიპლაგიატის პროგრამაზე შემოწმების შედეგად დაკმაყოფილებულია უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული პარამეტრები;

ბ) დადებითად აქვთ შეფასებული მაგისტრატურის შესაბამისი პროგრამის ყველა კომპონენტით სწავლის შედეგის მიღწევის დონე, გარდა სამაგისტრო ნაშრომისა.

5.19 თუ მაგისტრანტი არ ირიცხება სამაგისტრო ნაშრომების შეფასების უწყისში, მისი სწავლის შედეგის მიღწევის დონე სამაგისტრო ნაშრომით მიმდინარე სემესტრში არ შეფასდება.

5.20 სამაგისტრო ნაშრომების შეფასების უწყისთან ერთად ფაკულტეტის დეკანის ოფისი ამზადებს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ბიულეტენებს კომისიის თითოეული წევრისათვის. ბიულეტენში აისახება სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ყველა კრიტერიუმი, რომელიც დადგენილია ამ თავით და ამ კრიტერიუმების მიხედვით უწყისში რიცხული თითოეული მაგისტრანტის შეფასების ქულები.

5.21 ფაკულტეტის დეკანის ოფისი, სამაგისტრო ნაშრომების შეფასების უწყისებისა და ბიულეტენების შევსების ან მომდევნო სამუშაო დღეს, კომისიის თითოეულ წევრს ელექტრონული ფოსტით უგზავნის შესაფასებლად სამაგისტრო წერითი ნაშრომების, ნაშრომების ხელმძღვანელების დასკვნებისა და რეცენზიების ელექტრონულ ასლებს.

5.22 სამაგისტრო ნაშრომებით სწავლის შედეგის მიღწევის დონეს სამაგისტრო ნაშრომების შემფასებელი კომისია აფასებს თავის საჯარო სხდომაზე, სემესტრის დამატებითი გამოცდების კვირებში, დამატებითი გამოცდების ცხრილით დადგენილ დროს.

5.23 სამაგისტრო ნაშრომების ობიექტურად შეფასების მიზნით კომისიის წევრები სამაგისტრო წერით ნაშრომებს, ხელმძღვანელების დასკვნებსა და რეცენზიებს ეცნობიან კომისიის საჯარო სხდომის გამართვამდე.

5.24 სამაგისტრო ნაშრომების შემფასებელი კომისიის საჯარო სხდომის წინა დღეს ფაკულტეტის დეკანის ოფისს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების უწყისში შეაქვს აღნიშვნები ამ დღისათვის სტატუსშეჩერებულ მაგისტრანტთა შესახებ. კომისია სტატუსშეჩერებული მაგისტრანტების სამაგისტრო ნაშრომებს არ შეაფასებს.

5.25 სამაგისტრო ნაშრომის შემფასებელი კომისიის საჯარო სხდომის გამართვის დღეს ფაკულტეტის დეკანის ოფისი კომისიის წევრებს გადასცემს სამაგისტრო ნაშრომების დასკვნითი შეფასების ბიულეტენებს.

5.26 სამაგისტრო ნაშრომების შემფასებელი კომისიის თავმჯდომარეს შეფასების ბიულეტენებთან ერთად გადაეცემა სამაგისტრო ნაშრომების შეფასების უწყისი, სამაგისტრო წერითი ნაშრომების, ხელმძღვანელების დასკვნებისა და რეცენზიების დედნები.

5.27 სამაგისტრო ნაშრომის შემფასებელი კომისია თავის საჯარო სხდომაზე ისმენს უწყისში რიცხული თითოეული მაგისტრანტის (რომელსაც არ აქვს შეჩერებული სტუდენტის სტატუსი) მოხსენებას სამაგიტრო ნაშრომის შესახებ.

5.28 კომისიის წევრებს უფლება აქვთ, მოხსენების დასრულების შემდეგ შეკითხვები დაუსვან მაგისტრანტს წერითი ნაშრომისა და მოხსენების ცალკეული საკითხების დაზუსტების მიზნით. მაგისტრანტი ვალდებულია, უპასუხოს შეკითხვებს.

5.29 კომისიის წევრები, მაგისტრანტის მოხსენების მოსმენისა და შეკითხვებზე პასუხების ამოწურვის შემდეგ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე აფასებენ სამაგისტრო წერითი ნაშრომისა და სამაგისტრო ნაშრომის შესახებ მაგისტრანტის მოხსენების კომპონენტებს და შეფასების შედეგები შეაქვთ სამაგისტრო ნაშრომების შეფასების თავიანთ ბიულეტენებში.

5.30 სამაგისტრო წერითი ნაშრომის შეფასებისას კომისიის წევრები ითვალისწინებენ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და რეცენზენტების დასკვნებსა და მოსაზრებებს.

5.31 თუ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნაში მითითებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის წერით-დოკუმენტური და ელექტრონული ფორმები არ შეესაბამება ერთმანეთს, კომისიის წევრი სამაგისტრო წერით ნაშრომს აფასებს 0 ქულით. ამ შემთხვევაში სამაგისტრო წერითი ნაშრომის შესრულება სხვა კრიტერიუმებით აღარ შეფასდება.

5.32 თუ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნაში მითითებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ფორმა შეუსაბამოა მოთხოვნებთან და კომისიის წევრი ეთანხმება ამას, იგი სამაგისტრო წერით ნაშრომს აფასებს 0 ქულით. ამ შემთხვევაში სამაგისტრო წერითი ნაშრომის შესრულება სხვა კრიტერიუმებით აღარ შეფასდება.

5.33 სამაგისტრო წერითი ნაშრომის შესრულების შეფასების კრიტერიუმებია:

ა) პრობლემის იდენტიფიცირების ხარისხი;

ბ) ნაშრომის სტრუქტურირების ხარისხი;

გ) საჭირო ინფორმაციაზე წვდომის დონე;

დ) ინფორმაციის გამოყენების ეფექტიანობა;

ე) აკადემიური წერის კულტურის დონე.

5.34 სამაგისტრო წერითი ნაშრომის შესრულება თითოეული კრიტერიუმის მიხედვით ფასდება 12, 9, 6, 3 ან 0 ქულით შემდეგი წესით:

ა) პრობლემის იდენტიფიცირების ხარისხი:

- პრობლემა მკაფიოდ და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული - 12 ქულა;
- პრობლემა ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული, მაგრამ აკლია სიცხადე - 9 ქულა;
- პრობლემა ფორმულირებულია, მაგრამ ბოლომდე არაა გათვალისწინებული კონტექსტური ფაქტორები - 6 ქულა;
- პრობლემის არსი ზედაპირულად და უარგუმენტოდაა ჩამოყალიბებული - 3 ქულა;
- პრობლემა დასმულია არაკვალიფიციურად - 0 ქულა;

ბ) ნაშრომის სტრუქტურირების ხარისხი:

- ნაშრომის სტრუქტურა მის მიზანთან ოპტიმალურადაა შეხამებული - 12 ქულა;
- ნაშრომის სტრუქტურა სრულად ვერ პასუხობს მის მიზნებსა და ამოცანებს - 9 ქულა;
- ნაშრომის სტრუქტურა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება დასახულ მიზნებს - 6 ქულა;
- ნაშრომის სტრუქტურაში არ ჩანს ლოგიკური თანამიმდევრობა - 3 ქულა;
- ნაშრომის სტრუქტურა არ შეესაბამება ნაშრომის მიზანსა და ამოცანებს - 0 ქულა;

გ) საჭირო ინფორმაციაზე წვდომის დონე:

- მოძიებული ინფორმაცია სრულად შეესაბამება ნაშრომის თემატიკას - 12 ქულა;
- მოძიებული ინფორმაცია ნაწილობრივ შეესაბამება ნაშრომის თემატიკას - 9 ქულა;
- მოძიებული ინფორმაცია მაწილობრივ შეესაბამება ნაშრომის თემატიკას, მაგრამ არაა სათანადო დონეზე დამუშავებული და გაანალიზებული - 6 ქულა;
- მოძიებული ინფორმაცია შემთხვევითია, აკლია ხარისხი და ნაშრომის თემატიკასთან შესაბამისობა - 3 ქულა;
- მოძიებული ინფორმაცია შეუსაბამოა ნაშრომის თემატიკასთან - 0 ქულა.

დ) ინფორმაციის გამოყენების ეფექტიანობა:

- ინფორმაცია სიღმისეულად და ცხადადაა ორგანიზებული, სინთეზირებული და დაკავშირებული მიზნის მიღწევსათან - 12 ქულა;
- ინფორმაცია სიღმისეულად და ცხადადაა სინთეზირებული და დაკავშირებული მიზნის მიღწევასთან, თუმცა აქვს ორგანიზების ხარვეზები - 9 ქულა;
- ინფორმაცია კარგად ორგანიზებულია, თუმცა სიღრმისეულად და ცხადად ვერ უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას - 6 ქულა;
- ინფორმაცია დანაწევრებულია და არასწორადაა გამოყენებული - 3 ქულა;
- ინფორმაცია უხარისხოა და მისი გამოყენება ვერ უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას - 0 ქულა;

ე) აკადემიური წერის კულტურის დონე:

- ნაშრომი დაწერილია უშეცდომოდ, მთლიანადაა გამართული, აზრები თანმიმდევრულადაა გადმოცემული, სწორადაა გამოყენებული შესაბამისი ტერმინოლოგია - 12 ქულა;
- ნაშრომი დაწერილია უმნიშვნელო შეცდომებით, მთლიანადაა გამართული, აზრები თანმიმდევრულადაა გადმოცემული, სწორადაა გამოყენებული შესაბამისი ტერმინოლოგია - 9 ქულა;

- გრამატიკული შეცდომები ხელს უშლის ტექსტის აღქმას, ტექსტი გაუმართავია სტრუქტურულად, არის ტერმინოლოგიური ხარვეზები - 6 ქულა;
- ტექსტი შეიცავს ბევრ ტერმინოლოგიურ და აზრობრივ შეცდომას, რის გამოც მისი შინაარსის გაგება გართულებულია - 3 ქულა;
- ტექსტი დაწერილია ბუნდოვნად, ტერმინები არასწორია და შინაარსი - გაუგებარი - 0 ქულა.

5.35 კომისიის წევრს შეფასების ბიულეტენში შეაქვს შეფასების ქულები თითოეული კრიტერიუმის მიხედვით, მათი ჯამი და სამაგისტრო წერითი ნაშრომის შეფასების ქულა. თუ ჯამი ნაკლებია სამაგისტრო წერითი ნაშრომის კომპონენტისათვის ამ თავით დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე, სამაგისტრო წერითი ნაშრომის კომპონენტის შეფასების ქულა იქნება 0, სხვა შემთხვევაში შეფასების ქულა არის ქულების ჯამი სამაგისტრო წერითი ნაშრომის შესრულების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

5.36 სამაგისტრო ნაშრომის შესახებ სტუდენტის მოხსენების წარმოდგენის შეფასების კრიტერიუმებია:

ა) პრეზენტაციის ორგანიზების ხარისხი;

ბ) ინფორმაციის გადმოცემის ტექნიკის დონე;

გ) ინფორმაციისა და მისი წყაროების კრიტიკული შეფასების დონე;

დ) ჩატარებული კვლევის ხარისხი;

ე) დასკვნებისა და შედეგების წარმოდგენის ხარისხი.

5.37 სამაგისტრო ნაშრომის შესახებ მოხსენების წარმოდგენა თითოეული კრიტერიუმის მიხედვით ფასდება 8, 6, 4, 2 ან 0 ქულით შემდეგი წესით:

ა) პრეზენტაციის ორგანიზების ხარისხი:

- პრეზენტაცია ორგანიზებული ლოგიკური თანმიმდევრობით, ორგანიზების სქემა ღია და თვალსაჩინოა, პრეზენტაცია შეკრულია - 8 ქულა;
- პრეზენტაციის ორგანიზების სქემა თვალსაჩინოა, აშკარად შესამჩნევია პრეზენტაციისას, თუმცა აქვს ლოგიკურად აგების ხარვეზები - 6 ქულა;
- პრეზენტაციის ორგანიზებას აკლია სიცხადე, თუმცა პრეზენტაციისას შესამჩნევია - 4 ქულა;
- პრეზენტაციის ორგანიზებულობა მხოლოდ დროდადროა შესამჩნევი - 2 ქულა;
- პრეზენტაციისას არ შეიმჩნევა მისი ორგანიზებულობა - 0 ქულა;

ბ) ინფორმაციის გადმოცემის ტექნიკის დონე:

- ინფორმაციის გადმოცემის ტექნიკა - ჟესტიკულაცია, თვალებით კონტაქტი და ა.შ. - ავსებს პრეზენტაციას, მომხსენებელი გულღია და თავდაჯერებულია, საუბრობს ფაქტებზე და არგუმენტებზე დაყრდნობით, პერიოდულად იყენებს წინასწარ მომზადებულ მოკლე ჩანაწერებს - 8 ქულა;
- ინფორმაციის გადმოცემის ტექნიკა - ჟესტიკულაცია, თვალებით კონტაქტი და ა.შ. - პრეზენტაციას საინტერესოდ წარმოაჩენს, მომხსენებელი კომფორტულადაა - 6 ქულა;
- ინფორმაციის გადმოცემის ტექნიკა - ჟესტიკულაცია, თვალებით კონტაქტი და ა.შ. პრეზენტაციას გასაგებად წარმოაჩენს, მომხსენებელი არ იქცევა უხერხულად - 4 ქულა;
- ინფორმაციის გადმოცემის ტექნიკა შორსაა პრეზენტაციისაგან, მომხსენებელი თავს არაკომფორტულად გრძნობს - 2 ქულა;

- პრეზენტაციისას არ შეინიშნება ინფორმაციის გადმოცემის რაიმე ტექნიკის გამოყენება, გარდა მეტყველებისა, მომხსენებელი თვალს ვერ აცილებს ჩანაწერებს - 0 ქულა;

გ) ინფორმაციისა და მისი წყაროების კრიტიკული შეფასების დონე:

- სხვადასხვა პოზიციები სისტემურად და მეთოდურადაა გაანალიზებული და კვალიფიციურად შეფასებული - 8 ქულა;
- პოზიციის დაფიქსირებისას საკუთარი და სხვისი მოსაზრებები მკაფიოდ არაა გამიჯნული - 6 ქულა;
- სხვის მოსაზრებათა კრიტიკული შეფასება მოცემულია ისე, რომ არაა ჩამოყალიბებული საკუთარი მოსაზრება - 4 ქულა;
- საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისას არაა განხილული განსხვავებული მტკიცებულებები და ვარაუდები - 2 ქულა;
- არაა უზრუნველყოფილი ინფორმაციის ანალიზი და შეფასება - 0 ქულა;

დ) ჩატარებული კვლევის ხარისხი:

- ჩატარებულია ანალოგიური გამოკვლევების სიღრმისეული ანალიზი და შეფასება, კვლევა შესრულებულია ლოგიკური თანმიმდევრობით, მიღებულია მაღალი თეორიული და გამოყენებითი მნიშვნელობის შედეგები - 8 ქულა;
- ჩატარებულია ანალოგიური გამოკვლევების სიღრმისეული ანალიზი და შეფასება, კვლევა შესრულებულია ლოგიკური თანმიმდევრობით, მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასწავლო და პრაქტიკული დანიშნულებით - 6 ქულა;
- ანალოგიური გამოკვლევების ანალიზი ზედაპირულია, კვლევის ეტაპები ყოველთვის არაა ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული, მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას პრაქტიკული დანიშნულებით - 4 ქულა;
- განხილული ანალოგიური გამოკვლევები არაარსებითია, მათი ანალიზი - ზედაპირული, კვლევის ეტაპები ყოველთვის არაა ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული, მიღებული შედეგები საეჭვოა და მოითხოვს დამატებით გადამოწმებას - 2 ქულა;
- ანალოგიური გამოკვლევები იგნორირებულია, კვლევა შესრულებულია ალოგიკური თანმიმდევრობით, მიღებული შედეგები საეჭვოა - 0 ქულა;

ე) დასკვნებისა და შედეგების წარმოდგენის ხარისხი:

- დასკვნები ლოგიკურია, ასახავს სტუდენტის ინფორმირებულობის მაღალ დონეს და პრიორიტეტების გამოყოფის უნარს - 8 ქულა;
- დასკვნები არაა ლოგიკური, ნათლად არაა წარმოდგენილი განსხვავებული და მსგავსი მოსაზრებების პოზიციები - 6 ქულა;
- დასკვნა ლოგიკურად არაა დაკავშირებული შედეგებთან - 4 ქულა;
- დასკვნა არ წარმოადგენს ნაშრომის თემის ლოგიკურ გაგრძელებას - 2 ქულა;
- დასკვნა შეუთავსებელია ნაშრომის თემასთან - 0 ქულა.

5.38 კომისიის წევრს შეფასების ბიულეტენში შეაქვს სამაგისტრო ნაშრომის შესახებ მოხსენების შეფასების ქულები თითოეული კრიტერიუმის მიხედვით, მათი ჯამი და სამაგისტრო ნაშრომის შესახებ მოხსენების შეფასების ქულა. თუ ჯამი ნაკლებია სამაგისტრო ნაშრომის შესახებ მოხსენების კომპონენტისათვის ამ თავით დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე, სამაგისტრო ნაშრომის

შესახებ მოხსენების კომპონენტის შეფასების ქულა იქნება 0, სხვა შემთხვევაში შეფასების ქულა არის ქულების ჯამი სამაგისტრო ნაშრომის შესახებ მოხსენების წარმოდგენის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

5.39 სრულად შევსებულ ბიულეტენებს კომისიის ყველა წევრი, ყველა მაგისტრანტის მოხსენების მოსმენისა და შეფასების შემდეგ, გადასცემს კომისიის თავმჯდომარეს.

5.40 კომისიის თავმჯდომარე ყოველი სტუდენტისათვის გამოთვლის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების ქულას ცალ-ცალკე - სამაგისტრო წერითი ნაშრომის და სამაგისტრო ნაშრომის შესახებ მოხსენების კომპონენტებისათვის. ამ მიზნით იგი აჯამებს შესაბამის ქულებს ბიულეტენებიდან, ჯამს გაყოფს ბიულეტენების რაოდენობაზე და მიღებულ შედეგს, არითმეტიკული წესით, ამრგვალებს უახლოეს მთელ რიცხვამდე.

5.41 თუ გამოთვლილი ქულა ნაკლებია მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე, რომელიც დადგენილია ამ თავით სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების მოცემული კომპონენტისათვის, შეფასების ქულა ამ კომპონენტით იქნება 0.

5.42 დასკვნითი შეფასების ფორმის თითოეული კომპონენტით სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების ქულების გამოთვლის შემდეგ კომისისიის თავმჯდომარე გამოთვლის საბოლოო შეფასების ქულას. საბოლოო შეფასების ქულა იქნება 0, თუ დასკვნითი შეფასების რომელიმე კომპონენტით შეფასების ქულა არის 0. სხვა შემთხვევაში საბოლოო შეფასების ქულა არის დასკვნითი შეფასების კომპონენტებით შეფასების ქულების ჯამი. საბოლოო შეფასების ქული მიხედვით კომისიის თავმჯდომარე, განსაზღვრავს სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების ნიშანს, რომელსაც შეიტანს სამაგისტრო ნაშრომების შეფასების უწყისში.

5.43 სამაგისტრო ნაშრომით სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების ქულები დასკვნითი შეფასების კომპონენტებით, საბოლოო შეფასების ქულა და ნიშანი კომისიის თავმჯდომარეს შეაქვს სამაგისტრო ნაშრომების შეფასების უწყისში. უწყისს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. უწყისი, ხელმოწერისთანავე, შეფასების ბიულეტენებთან, სამაგისტრო ნაშრომების, ხელმძღვანელთა დასკვნებისა და რეცენზიების დედნებთან ერთად, ბარდება ფაკულტეტის დეკანის ოფისს. შეფასების ბიულეტენები უწყისის შემადგენელი ნაწილებია.

5.44 თუ მაგისტრანტი ვერ გამოცხადდება სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაზე დამატებითი გამოცდების ცხრილით განსაზღვრულ დროს და ამას ექნება საპატიო მიზეზი, ფაკულტეტის დეკანი უფლებამოსილია, მაგისტრანტის განცხადების საფუძველზე, დაუნიშნოს მას შეფასების სხვა დრო იმავე სემესტრის დამატებითი გამოცდების კვირებში.

5.45 თუ სამაგისტრო ნაშრომი არ შეფასდა მისი დასრულების სემესტრში, იგი შეიძლება შეფასდეს მომდევნო სემესტრში, სემესტრის ნებისმიერ კვირაში, ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით განსაზღვრულ დროს. სამაგისტრო ნაშრომი დასრულებულად ჩაითვლება იმ სემესტრში, რომელშიც იგი ჩაბარდა ფაკულტეტის დეკანის ოფისს ამ თავის 5.14 პუნქტით დადგენილი წესით.

5.46 თუ სამაგისტრო ნაშრომი შეფასდა შეფასების ნიშნით FX (არადამაკმაყოფილებელი), მაგისტრანტს უფლება აქვს, გადაამუშაოს იგივე სამაგისტრო ნაშრომი და წარადგინოს შესაფასებლად მაგისტრატურის პროგრამით სწავლის მომდევნო სემესტრში, ამ თავის 5.14 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

5.47 თუ სამაგისტრო ნაშრომი მისი დასრულების ან მომდევნო სემესტრში შეფასდა ნიშნით F (ჩაიჭრა), მისი დასრულების მომდევნო სემესტრში შეფასდა ნიშნით FX (არადამაკმაყოფილებელი) ან არ იქნა შეფასებული მისი დასრულების მომდევნო სემესტრში, მაგისტრანტმა უნდა შეასრულოს ახალი სამაგისტრო ნაშრომი სხვა თემაზე და წარადგინოს შესაფასებლად ამ თავის 5.14 პუნქტით დადგენილი წესით მაგისტრატურის პროგრამით სწავლების რომელიმე მომდევნო სემესტრში.

5.48 თუ მაგისტრანტი არ გამოცხადდება სამაგისტრო ნაშრომის დასკვნით შეფასებაზე საპატიო მიზეზის გარეშე და რომ გამოუცხადებლობის მიზეზი არ იყო საპატიო, სამაგისტრო ნაშრომით სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების ქულა იქნება 0. ამ შემთხვევაში შეფასების ქულა შეფასების უწყისში შეაქვს ფაკულტეტის დეკანის ოფისის უფლებამოსილ თანამშრომელს.

5.49 სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით გათვალისწინებული კრედიტები მაგისტრანტს ენიჭება სამაგისტრო ნაშრომების შეფასების უწყისში შესაბამისი ჩანაწერის შეტანის გზით, თუ სამაგისტრო ნაშრომით სწავლის შედეგის მიღწევის დონე შეფასებულია უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრული დადებითი ნიშნით. ჩანაწერები სამაგისტრო ნაშრომების შეფასების უწყისში შეაქვს ფაკულტეტის დეკანის ოფისის უფლებამოსილ თანამშრომელს.

5.50 სამაგისტრო ნაშრომების შეფასების შევსებულ უწყისებს ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი დამატებითი გამოცდების კვირების დასრულების მომდევნო სამუშაო დღეს. დამტკიცების შემდეგ უწყისში ცვლილებების ან ახალი ჩანაწერების შეტანა აკრძალულია.